

## სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ფინალური გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფინალური გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა ადგენს თანამედროვე დისტანციურ სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილი „სრული“, „ნაწილობრივი“ და „შეზღუდული“ სტატუსის მქონე დისციპლინებში ტრადიციული და დისტანციური ფორმატით გამოცდების ჩატარების და წარმართვის წესს, რომელიც შესაბამისაობაშია თსკ-ს საშემსრულებლო, კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტებზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებთან და გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა და საჭიროება.

### მუხლი 2. მიზანი

2.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დისტანციურ რეჟიმში „სრული“, „ნაწილობრივი“ და „შეზღუდული“ სტატუსის მქონე დისციპლინების ფინალური შეფასება ელექტრონული და ტრადიციული მეთოდებით. მაღალი აკადემიური სტანდარტისა და ხარისხის უზრუნველყოფა.

### მუხლი 3. ვადები

3.1. წინამდებარე დოკუმენტში შეფასების სისტემის და შეფასების ფორმების მოქმედების ვადად განისაზღვროს პერიოდი ახალი კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული ვითარების გაჯანსაღებამდე.

### მუხლი 4. გამოცდები

4.1. ფინალური გამოცდების ჩატარებისას კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებული ნორმები ამუშავდეს წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად.

4.2. გამოცდები ტარდება როგორც დისტანციური ისე არადისტანციური ფიზიკური სახით.

4.3. ნებისმიერი სასწავლო კურსის ჯგუფური მეცადინეობების დასკვნითი გამოცდისათვის, გარდა არსებული ფორმისა დასაშვები იქნება როგორც მხოლოდ ზეპირი (ონლაინ), ასევე კომბინირებული გამოცდის (წერა, open book და ზეპირი) ჩატარება პროგრამის ხელმძღვანელისა და საგნის ლექტორის გადაწყვეტილებით.

4.4. ელექტრონულ/დისტანციური სწავლების ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ფინალურ გამოცდაზე ამოქმედდეს სასწავლო კურსის სილაბუსებისგან და თსკ-ს შეფასება-შემოწმების სტანდარტისგან განსხვავებული, სტუდენტების ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, რაც დადასტურებული უნდა იყოს მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელის/კურსის განმახორციელებელ პირის მიერ.

4.5. ფინალურ გამოცდაზე სასწავლო კურსის სილაბუსებისგან და თსკ-ს შეფასება-შემოწმების სტანდარტისგან განსხვავებული სტუდენტების ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის დასკვნა ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შესაბამისი დასკვნის სახით (დანართი 1), რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს მის შესაბამისობასა და თავსებადობას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. თუ დასკვნა არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, სამსახურის უფროსი შესაბამისი მითითებებით უბრუნებს მას კოორდინატორს გადასამუშავებლად და ასევე განსაზღვრავს ვადას გადამუშავებული დასკვნის წარმოსადგენად.

4.6. ელექტრონული ფორმით გამოცდის ჩატარების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის იდენტიფიკაციისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის როგორც პრევენციის, ასევე აღმოჩენის შესაძლებლობა.

4.7. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის საფრთხის ამოწურვამდე შეჩერდეს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 12 ივლისის №8 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება. (აკადემიური საბჭოს დადგენილება N87/2020, 15.12.2020)

## **მუხლი 5. ფინალური გამოცდების ორგანიზება, პროცედურა და ადმინისტრირება**

5.1. „სრული“ დატვირთვის სტატუსის მქონე კურსებში:

ა) სასწავლო კომპონენტებში ფინალური გამოცდების ფორმატი განისაზღვრება შესაბამისი მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;

ბ) ფინალური გამოცდების ფორმატის შესახებ ინფორმაცია შევსებული უნდა იყოს თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 2), დადასტურებული უნდა იყოს მიმართულების ხელმძღვანელის მიერ და მიწოდებული უნდა იყოს დეკანისათვის;

გ) ფინალური გამოცდების ფორმატის შესახებ მიმართულების ხელმძღვანელისგან მიღებული ინფორმაციას დეკანი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით უგზავნის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს;

დ) „სრული დატვირთვის“ სტატუსის მქონე კურსებში ფინალური გამოცდები ტარდება დისტანციურად. ფინალურ გამოცდაზე სასწავლო კურსის სილაბუსისაგან განსხვავებული

შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს შესაბამისი მიმართულების გადაწყვეტილება სხდომის ოქმის ამონაწერის სახით, ან პროგრამის ხელმძღვანელის/კომპონენტის განმახორციელებელი პირის მოხსენებითი ბარათი დადასტურებული ხელმოწერით;

ე) სალექციო-ჯგუფურ სასწავლო კურსებში დისტანციური ფორმით ჩასატარებელი თითოეული საგამოცდო ჯგუფისათვის სასწავლო დეპარტამენტი ადგენს საგამოცდო ცხრილს და ინფორმაციას უგზავნის IT სამსახურის უფროსს;

ვ) ვიდეო-კონფერენციის პლატფორმების (Google meet) ბმულების მომზადებას და საგამოცდო პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის (სტუდენტები, საგნის წამყვანი პროფესორ/ მასწავლებლები და ტექნიკური მონიტორინგის ჯგუფი) გაზიარებას უზრუნველყოფს IT სამსახური;

ზ) დისტანციური ფორმით გამოცდის ჩასატარებლად აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ტექნიკური დახმარებას და კონსულტაციას უზრუნველყოფს IT სამსახური საჭიროების შემთხვევაში;

თ) დისტანციური ფორმით ჩატარებული გამოცდების ტექნიკური მონიტორინგის მიზნით ფაკულტეტის დეკანის მიერ განისაზღვრება მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/ები, რომელიც გამოცდების დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს ანგარიშს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით;

ი) „სრული“ დატვირთვის სტატუსის მქონე სასწავლო კურსებში განმეორებითი გამოცდების ჩატარების ცხრილს (დისტანციური/ არადისტანციური) ადგენს სასწავლო დეპარტამენტი.

5.2. „ნაწილობრივი“ და „შეზღუდული“ დატვირთვის სტატუსის მქონე სასწავლო კურსებში:

ა) „ნაწილობრივი დატვირთვის“ სტატუსის მქონე კურსებში ფინალური გამოცდები ტარდება შესაბამისი მიმართულების მიერ განსაზღვრული საგამოცდო მოთხოვნების მიხედვით;

ბ) ფინალურ გამოცდაზე სასწავლო კურსის სილაბუსისაგან განსხვავებული შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს შესაბამისი მიმართულების გადაწყვეტილება სხდომის ოქმის ამონაწერის სახით, ან პროგრამის ხელმძღვანელის/კომპონენტის განმახორციელებელი პირის მოხსენებითი ბარათი დადასტურებული ხელმოწერით (ოქმის ამონაწერი უნდა შეიცავდეს დანართი 2 გათვალისწინებულ ინფორმაციას (დანართი 2 ));

გ) შესაბამისი მიმართულების გადაწყვეტილებით დგინდება სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია გამოცდის ონლაინ ფორმატით ჩატარება. ჩამონათვალი ეგზავნება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

დ) ფინალური გამოცდების ფორმატის შესახებ ინფორმაცია შევსებული უნდა იყოს თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი 2), დადასტურებული უნდა იყოს მიმართულების ხელმძღვანელის მიერ და მიწოდებული უნდა იყოს დეკანისათვის;

ე) ფინალური გამოცდების ფორმატის დადასტურების მიზნით, მიმართულების ხელმძღვანელისგან მიღებული ინფორმაცია დეკანის მიერ გადაგზავნილი უნდა იყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორისა და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისთვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით;

ვ) სასწავლო კურსების მიზნების, შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესაბამისი დასკვნის სახით (დანართი 1);

ზ) დისტანციური ფორმით ჩატარებული გამოცდების ტექნიკური მონიტორინგის მიზნით ფაკულტეტის დეკანის მიერ განისაზღვრება მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/ები, რომელიც გამოცდების დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს ანგარიშს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით;

თ) „ნაწილობრივი“ და „შეზღუდული“ დატვირთვის სტატუსის მქონე სასწავლო კურსებში განმეორებითი გამოცდების ჩატარების ცხრილს (დისტანციური/ არადისტანციური) ადგენს სასწავლო დეპარტამენტი.

## **მუხლი 6. ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობები**

6.1. ა) ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობებიდან მოიხსნას დასწრების კომპონენტში სტუდენტის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულება;

ბ) ფინალურ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით/მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული შუალედური შეფასების ფორმებში ჯამურად დაგროვებული აქვს ქულათა შესაძლო მაქსიმუმის არანაკლებ 50%-ისა;

გ) ერთსა და იმავე დისციპლინაში თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება შერეული მეთოდით - როგორც დისტანციური, ასევე არადისტანციური ფორმატით.

(აკადემიური საბჭოს დადგენილება N74/2020, 06.11.2020)

6.2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მიმდინარე შეფასებები აისახება სასწავლო პროცესის დასასრულს, ფინალური გამოცდის ჩატარებამდე.

6.3. ფინალური გამოცდის ფორმატის, შეფასების ფორმების, მეთოდების, კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ მიეწოდება სტუდენტებს წინამდებარე წესის დამტკიცებისთანავე.

6.4. სტუდენტის მიმდინარე შეფასებების ფორმებისა და ვადების ცვლილებასთან და დასწრების კომპონენტში არსებული შეზღუდვის მოხსნის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის ელ.მართვის სისტემის სამსახური.

## **მუხლი 7. სტუდენტის უფლებები**

7.1. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო შეფასების გასაჩივრების და გამოცდის განმეორებით ჩაბარების.

7.2. განმეორებით გამოცდას სტუდენტი აბარებს საგამოცდო კომისიას.

**დანართები:**

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის დასკვნის ფორმა;
2. კურსების სწავლის შედეგები და მათი მიღწევის სტრატეგია არადისტანციური სასწავლო რეჟიმის სხვადასხვა ვადებში აღდგენის პირობებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის დასკვნა

ფინალური გამოცდაზე სასწავლო სილაბუსისაგან განსხვავებული  
შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების გამოყენების შესახებ

ქვემოთ ჩამოთვლილ სასწავლო კურსებში ..... ფინალურ გამოცდაზე  
გამოყენებული შეფასების კომპონენტები/კრიტერიუმები მეთოდები შესაბამისობაშია /არ არის  
შესაბამისობაში კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

სახელი, გვარი / ხელმოწერა / თარიღი

კურსების სწავლის შედეგები და მათი მიღწევის სტრატეგია არადისტანციური სასწავლო რეჟიმის სხვადასხვა ვადებში აღდგენის პირობებში				
	ონლაინ სწავლების გაგრძელების პირობებში		შეზღუდვების ივლისში მოხსნის პირობებში	შეზღუდვების აგვისტოში მოხსნის პირობებში
კურსის სტატუსი	სწავლის შედეგის მიღწევის დონე	სწავლის შედეგ. მიღწევის გეგმა და შეფას. ფორმები /მეთოდები ვარიანტი I	სწავლის შედეგ. მიღწევის გეგმა და შეფას. ფორმები/მეთოდები ვარიანტი II	სწავლის შედეგის მიღწევის გეგმა და შეფას. ფორმები/მეთოდები ვარიანტი III
სრული დატვირთვით	სწავლის შედეგი მიიღწევა	გამოცდის ჩატარება ონლაინ ფორმატში	—	—
ნაწილობრივი დატვირთვით	სწავლის შედეგი ნაწილობრივ მიიღწევა	გამოცდის ჩატარება ონლაინ რეჟიმში, მაგრამ <b>კურსის სწავლის შედეგების მოდიფიცირება იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდება მისი ონლაინ რეჟიმში შემოწმება</b>	პირისპირ სწავლების აღდგენის შემდეგ ინტენსიური მეცადინეობების დანიშვნა და <b>გონივრულ ვადაში</b> გამოცდის ჩატარება ლაივ-ში (საგამოცდო მოთხოვნების ცვლილების გარეშე/ან ცვლილებით)	გამოცდის ჩატარება ლაივ-ში მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე <b>აგვისტოს ბოლო სექტემბრის დასაწყისი</b> (საგამოცდო მოთხოვნების ცვლილების გარეშე/ ცვლილებით)
შეზღუდული დატვირთვით	სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა	სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა	კურსის მიზნებში და სწავლის შედეგებში ცვლილების შეტანა, შესაბამისად გამოცდის ფორმატის და მოთხოვნების ცვლილება (კომპენსირება მომდევნო სემესტრში პროექტების გაორმაგების გზით)	კურსის გადანაცვლება მომდევნო სემესტრში კურიკულუმში ცვლილების შეტანის გზით

შესავსები ფორმა

მიმართულება/ პროგრამა -----

კურსის სტატუსი ონლაინ სწავლების პირობებში	გამოცდის ჩატარების I ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	გამოცდის ჩატარების II ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	გამოცდის ჩატარების III ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სწავლება სრული დატვირთვით			
სწავლება ნაწილობრივი დატვირთვით			
სწავლება შეზღუდული დატვირთვით			

არჩევითი დისციპლინები:

კურსის სტატუსი ონლაინ სწავლების პირობებში	გამოცდის ჩატარების I ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	გამოცდის ჩატარების II ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	გამოცდის ჩატარების III ვარიანტი (მიუთითეთ სწავლის შედეგის, შეფასების ფორმის/მეთოდის ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სწავლება სრული დატვირთვით			
სწავლება ნაწილობრივი დატვირთვით			
სწავლება შეზღუდული დატვირთვით			